ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15232725**
თარიღი:**29/09/2023**

კანონით განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 11 სექტემბერს N10/1423254416-14 წერილით მომართა შპს ,,მაი თაუერმა'' (ს/კ N447862590) და აღნიშნა, რომ სურვილი აქვს განახორციელოს ქალაქ ბათუმში, ივანე მესხის ქ.N28-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.32.10.346 ავარიული სახლის დემონტაჟი და მესაკუთრეების დაკმაყოფილება და სანაცვლოდ ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე N05.32.13.427; 05.32.13.427; 05.32.13.101; 05.32.13.374, 05.32.13.033, N05.32.13.014; 05.32.13.332 ხელშემწყობი ღონისძიების სახით განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 15,0-მდე გაზრდა და კანონით დადგენილი სიმაღლის პარამეტრისაგან განსხვავებული პარამეტრის დადგენა.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ქალაქმშენებლობთი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამოდენიმე მიზანი:

ა) მოხდება ქალაქ ბათუმში, ივანე მესხის ქ.N28-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.32.10.346 მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ათვისება და ამ სახლში მაცხოვრებელი ადამიანების დაკმაყოფილება.

ბ) ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე N 05.32.13.427; 05.32.13.427; 05.32.13.101; 05.32.13.374, 05.32.13.033, N05.32.13.014; 05.32.13.332 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, სადაც არსებული ქალაქმშენებლობთი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება, ხდება კოეფიციენტის გაზრდა 15,0-მდე.

აღნიშნულის სანაცვლოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად საკუთრებაში გადაეცემა შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ისა სასარგებლო ფართობის სახით, რომელიც გამოყენებულ უნდა იყოს სოციალური მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141-ე მუხლის 23-ე პუნქტის, ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 25-ე პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე - სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში მონაწილეობის მსურველი დეველოპერული კომპანიების წინადადებების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ გადაწყვეტილების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში შექმნილი სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ,,მაი თაუერის'' (ს/კ N447862590) წინადადება დასახლება ანგისაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე N 05.32.13.427; 05.32.13.427; 05.32.13.101; 05.32.13.374, 05.32.13.033, N05.32.13.014; 05.32.13.332 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების სახით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გაიზარდოს 15,0-მდე და ასევე დამტკიცებული იქნას სიმაღლის ნაწილში განსხვავებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრი.

2. განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების შედეგად შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ისა სასარგებლო ფართობის სახით დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გამოყენებულ იქნას სოციალური მიზნით, მიმდებარე და სხვა ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი ღონისძიებები.

4. განემარტოს შპს ,,მაი თაუერს'' (ს/N447862590), რომ იგი ვალდებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე გადასცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას საკუთრებაში საპროექტო გზა წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად.

5. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი